ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ოთხშაბათი, 17 ოქტომბერი № 1613

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვას სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе».** ტელეფონი № 372.

ხუთშაბათს, 18 ოქტო **ქართული თეატრი** მბერს 1901 წლს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ
ბ. ეგდოშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება
პირველად განახლების შემდეგ

I
ჯადო სიყვარულისა
დრამატიული ეტიუდი 4 მოქ. თხზ. კარპოვისა
გადმოკ. ა. ნათაძის მიერ.

II
დ ა თ ვ ი
ვოდ. 1 მოქმედ. თხზ. ჩეხოვისა, გადმ. გრ. ვოლსკის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, ლეჟავა; ბ.ბ. აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ევდოშვილი, იმედაშვილი, მირიანიშვილი ⁊ სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

შემდეგი წარმოდგენა 21 ოქტომბერს: მზადდება „**უცოლოთა კლუბი**“ კომ. 3 მოქ. და „**გონეტელი გაჭირა**“ კომ. 5 მოქ.
რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

კ ი ო ს კ შ ი

სურათები საქართველოს რუსეთთან შეერთების დროის საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა. **ფასი 20 კ.**

ძველი ქართველთა მწერლებისა
სურათები, შედგენილი ტ. მომცელიძისა.—**ფასი 85 კაპ.**.

იქვე იყიდება ყველა ქართული გამოცემანი. ლორის მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, საკუთარ შენობაში. (20—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.
ი. ზ. ფიოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.
ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.
ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.
ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,
ა. ზ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.
დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.
ს. ა. ვოინო.—ხირურგიული, ხუთშაბათობით და შაბათობით 1—2 საათამდე.
ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.
ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10 12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით, ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ტელეფონი № 274. (წლ.)

ე ქ ი მ ი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყოროლანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

ე ქ ი მ ი
პ. მ. ელიოზიშვილი
ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

რედაქციისაგან.

გაგახსენებთ ხელის-მომწერთ, ვისაც სრულად არ შემოუტანია დაკვეთილ „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ წლიური ფასი—დროით წარმოადგინონ.

ცინკოგრაფია
წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.
(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. (1000—32)

ისტორიული თხზულება (რუსულად)
ზ. ავალიშვილისა
საქართველოს შეერთება რუსეთთან
ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამოცემის საწყობი „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაშია. იყიდება იქვე და ლ. ხიდდეკელთან. წიგნი შეიძლება დაიბარონ ფასის ზედ-დადებით.

ამ წლის 10 ოქტომბრიდან ტფილისის საოლქო სასამართლოსთან დაარსდა **ნაფიც ვექილების და მათი თანაშემწეების**
კონსულტაცია,
სადაც მსურველთ მიაწვდიან სიტყვიერ და წერილობით რჩევას და დასაბუთებულ აზრს ყოველგვარ სასამართლო საქმის შესახებ და სადაც მსურველთ შეუდგენენ ყოველგვარ საქმის ქაღალდს.

კონსულტაცია ღია არის ყოველ-დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2-მდე, გარდა კვირა-უქმეებისა; ბინა აქვს საოლქო სასამართლოს განყოფილებაში.

ღარიბთათვის უფასოა.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთ შეუძლიათ წერილით მიჰმართონ კონსულტაციას; პასუხის მისაღებად მხოლოდ ფოსტის მარკა უნდა გაუგზავნონ. (ნ. 6—1)

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი“-ს №№-ბი თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

15 ოქტომბერი

ლონდონი. იმ კომისიის მუშაობა, რომელსაც უნდა გამოერკვია უცხოელების ზარალი სამხრეთ-აფრიკის ომიანობის გამო, მოულოდნელად სასურველად დამთავრდა დიპლომატიურ მოლაპარაკების საშუალებით. მთავრობის წარმომადგენელმა არდაგმა განაცხადა დღეს სხდომაზე, რომ მთელი საზღაური უდრის 69·550 გირვანქა სტერლინგს.

ბაქო. 14 ოქტომბერს გაიხსნა რვა კლასიანი კომერციული სასწავლებელი, რომელიც დაარსებულია ბაქოელ ნავთის მწარმოებლების და ვაჭრების ხარჯზე.

ყაზანი. მდინარეები ნელ-ნელა კლებულობენ. მგზავრების გემები ჯერ დაუბრკოლებლივ მიდი-მოდიან.

ჰააგა. ბურების შუამდგომლობა იმაზე, რომ სამხრეთ-აფრიკის კითხვა ჰააგის საერთა შორისო სამედიატორო სასამართლომ გადასწყვიტოს, პირველად გადაეცემა განსახილველად ხსენებულ სასამართლოს სამმართველოს საბჭოს, რომელსაც შუა ნოემბერში ექნება სხდომა. პირველად ყოვლისა ხსენებული საბჭო განიხილავს კითხვას, აქვს თუ არა მას უფლება ამ გვარ შუამდგომლობათა განხილვისა, და თუ გამოირკვა, რომ ამის უფლება არ აქვს, შუამდგომლობა არქივს გადაეცემა.

ბერლინი. იმპერიის კანცლერი წავიდა ლიდენბურგში, საითკენაც იმპერატორი გუშინ გაემგზავრა.

კიევი. გაიხსნა სამეურნეო კურსები, რომელიც დააარსა სამეურნეო საზოგადოებამ. მსმენელია 30 მამაკაცი და 20 დედაკაცი. მასწავლებლები არიან პოლიტეხნიკუმის პროფესორები. კურსი ხუთი თვე გაგრძელდება.

კიევი. ერთის კვირის განმავლობაში გაიყიდა 443.000 ფუთი ფხვნილი შაქარი 1901—1902 წ.წ. ოქტომბრისა, ნოემბრის და დეკემბრის—4 მ. $27^1/_2$ კ.—4 მ, 28 კ; იანვრის და თებერვლის 4 მ. 35 კ; იანვრისა და აპრილის—4, 42 კ; მარტისა და ივლისის—4, 45. 1902—1903 წ.წ. შაქარი გაიყიდა —225.000 ფუთი. შაქრის მექარხნეთა საზოგადოების ცნობებით, საშუალო მოსავალი ჭარხლისა დესიატინაზე უდრის 950 ფუთს; მოელიან 55,000.000 ფუთზე მეტ შაქარს.

ბუდაპეშტი. ტახტ-სიტყვა პირველად ყოვლისა თხოულობს ჰუნგრეთსა და მონარქიის სხვა ნაწილებ შუა არსებულ გადაუწყვეტელ სავაჭრო კითხვების სამართლიან გადაწყვეტას და, რადგან საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებანი მზადდება, ისეთ საერთო სადამოჟნო ტრიფის შემოღებას, რომელიც სასოფლო მეურნეობასა და მრეწველობას თანაბარ მფარველობას გაუწევს; შემდეგ სიტყვა თხოულობს რეფორმებს ადმინისტრაციისას, გადასახადებისას და ბინებისას. არა სასურველ ეკონომიურ-მდგომარეობის გამო ჰარმონიული დახმარება უნდა აღმოეჩინოს ხალხის შრომას და კერძო ინიციატივას წყლის არხების გაყვანით, ახალ ბაზრების შექმნით და საამხანაგო საქმეებისათვის მფარველობის გაწევით. ტახტ-სიტყვაში ნათქვამია, რომ მთავრობას სახეში აქვს მუშების უბედურ შემთხვევებისაგან დაზღვევის პროექტი, და რაც შეეხება სამხედრო სასჯელთა წესდებას, ამისი პროექტი წარედგინება პალატას ამავე სესიაში. მოკავშირეებთან საუკეთესო მეგობრული დამოკიდებულება არ შეცვლილა, ყველა დანარჩენ სახელმწიფოებთანაც ისეთი განწყობილებაა, რომ იმედია მშვიდობიანობა მტკიცე და ხანგრძლივი იქნება. დასასრულ ტახტ სიტყვა მიმართავს დეპუტატების პატრიოტულ გრძნობას, რათა მათ ბოლომდე მტკიცედ შეასრულონ თავიანთი დანიშნულება.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

საფრანგეთი. 9 ოქტომბერს პარლამენტმა მოქმედება დაიწყო. გაზეთები დაწვრილებით მოგვითხრობენ, თუ როგორ იმუშავებს პალატა და რა საგნებს განიხილავს.

პალატა, ალბად, კვირაში ოთხჯერ შეიკრიბება, დილითაც და საღამოთაც; ოთხშაბათობითა და სამშაბათობით კი თავისუფალი იქნება. დილაობით ბიუჯეტს განიხილავენ, საღამოობით—სხვა კანონ-პროექტებს. კვირაში ერთ დღეს დეპუტატების თხოვნებსა და საჩივრებს გაარჩევენ. ბიუჯეტის გარდა, მთავრობა შემდეგ კანონ-პროექტებს წარუდგენს პალატას: სავაჭრო ფლოტისა, მუშების პენსიებისა, სასოფლო-სამეურნეო კამერებისა და უცხოეთში გასატან საქონლის პრემიის თაობაზე. საბიუჯეტო კომისია მოითხოვს, რომ პირველად სარწმუნოებათა სამინისტროს ბიუჯეტი განიხილონ, რადგანაც ამ საგანს დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ბიუჯეტისათვის. ბერების კრებულთა თაობაზე უნდა ვსთქვათ, რომ არა გვგონია, პალატამ წელს მოასწროს და ამათი თხოვნები გაარჩიოს, რადგანაც ვიდრე ამ თხოვნებს პარლამენტს წარუდგენდნენ, ჯერ მთავრობამ ადგილობრივი პრეფექტებისა და სადეპარტამენტო საბჭოებისაგან ცნობები უნდა შეკრიბოს და ამ საქმეს კი ბევრი დრო დასჭირდება.

✿ ამ დღეებში მთავრობამ ოფიციალური ცნობები გამოაცხადა საფრანგეთის ქვანახშირისა და მადნის მრეწველობის შესახებ. ეს ცნობები გვიჩვენებენ, რომ საფრანგეთის მრეწველობაც იმნაირივე გაჭირვებაში ყოფილა ჩავარდნილი, როგორშიაც ევროპის სხვა სახელმწიფოების მრეწველობაა ჩავარდნილი. ასე, მაგალითად, წელს ქვა ნახშირი და ანტრაციტი შარშანდელზე 771 ათასი ტონით ნაკლები გამოუღიათ, თუჯი—134 ათასი ტონით ნაკლები დაუმზადებიათ, რკინა—126 ათასი ტონით. სხვა-და-სხვა ჯურის ფოლადიც შარშანდელზე გაცილებით ნაკლები დაუმზადებიათ; მარტო ფოლადის რელსები გაუკეთებიათ შარშანდელზე ცოტა მეტი, რადგანაც ეს საქონელი ახალი რკინის გზებისათვის წაიღეს კოლონიებში. როგორც სჩანს, არც მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში მრეწველობის საქმე გაუმჯობესდეს.

✿ «ეხო დე პარი» ამტკიცებს: ორი კონსერვატიულ-ნაციონალისტური გაზეთი «ფიგარო» და «გოლუა» შეერთდებიანო. შეერთებულ გაზეთს სახელად «ფიგარო ე გოლუა რეუნი» დაერქმევა და ყოველ დღე ექვსი გვერდი გამოვა. პირველი ნომერი ამ მოკლე ხანში გამოვა.

«აბესალომ და ეთერი—ღმერთმა შეჰყარა ერთფერით»,—ამ გაზეთებზეა ნათქვამი.

ინგლისი. მეფე-დედოფალი ამ ჟამად შოტლანდიაში არიან; მალე ლონდონში წავლენ და მალბოროს სასახლეში დასახლდებიან. მეფე ედუარდ VII-ის დასახლოვებული პირები მეტად შეწუხებულები არიან მით, რომ სამხრეთ-აფრიკის ომი ასე გაჭიანურდა და დასასრულიც აღარ უჩანს. ამის თაობაზე მეფემაც სამდურავი გამოუცხადა ზოგიერთ თავის მეგობრებს. ედუარდ VII ეშინიან, ვაი თუ ომი გვირგვინის კურთხევის დრომდის არ გათავდესო. ეს ამბავი ძლიერ აღონებს და აღარდიანებს უმისოდაც ავადმყოფსა და ჯან-გატეხილ მეფეს.

✿ ერთი მთა არის, ყოველ წამს იმუქრება გადმოვინგრევიო, მაგრამ დღემდე ისევ ისე უძრავადა დგა თავის ადგილასაო—ამბობს ქართული ანდაზა. სწორედ ასეა ინგლისის ეხლანდელი მთავრობის და ნამეტნავად პირველ მინისტრის ლორდ სოლსბერის საქმეც. გაზეთები ყოველ დღე სწერენ: საცაა მთავრობა გამოიცვლება, დღეს თუ ხვალ ლორდ სოლსბერი სამსახურიდან გავაო, მაგრამ მთავრობაცა და სოლსბერიც ამოსულ ხესავით უძრავადა დგანან თავიანთ ადგილზედ.

ეხლაც «მორნინგ პოსტ»-ი არწმუნებს: ლორდ სოლსბერი სამსახურიდან გავა და მთელი კაბინეტი ძირეულად შეიცვლებაო. პირველ მინისტრად ლიბერალ-იმპერიალისტი ლორდ როზბერი დაინიშნება და სხვა მინისტრებადაც სულ უკიდურეს იმპერიალისტებს დააყენებენო. უნიონისტებს გარდა, ლიბერალ-იმპერიალისტებსაც დაჰნიშნავენ მინისტრებადაო, მაგრამ პოლიტიკურ წრეებში არა სჯერათ «მორნინგ პოსტ»-ის ცნობა: ეს ამბავი საცდელად დაბეჭდა ამ გაზეთმაო: აბა ვნახოთ, რა გამოვაო. ყველა დარწმუნებულია, რომ სოლსბერის მაგივრად ერთ ეხლანდელ მინისტრს დაჰნიშნავენ და ინგლისის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა არაფერშიაც არ შეიცვლებაო.

✿ «ტანი»-ის ლონდონელი კორესპონდენტი სწერს: სამხედრო სამინისტრო ძლიერ დაღონებული და დადარდიანებულია: ალბად ცუდი ამბები მოუვიდოდა კაპის კოლონიიდანაო. სამხედრო სამინისტრო არავის არ უმხელს მიღებულ ახალ ამბებს, ამიტომაც ყველა ჰფიქრობს: სწორედ ცუდად იქნება ჩვენი საქმე, ალბად, მთელი კოლონია აჯანყდაო.

✿ ლონდონში ხმა დადის: ცნობილი ჟურნალისტი სტედი ლიბერალურ გაზეთ «დეილი ნიუს»-ში დაიწყებს მუშაობასაო. სტედი დიდი მტერია ეხლანდელი მთავრობისა. ამას წინად ერთმა შოვინისტმა კონსერვატორმა უაიტმა ურჩია მთავრობას: თუ გინდათ, რომ სამხრეთ-აფრიკის ომი მალე გათავდეს, სტედი უნდა დაატუსაღოთ, რადგანაც ეს ჟურნალისტი ისე გულმოდგინედ ექომაგება ბურებს, თითქო თითონაც ინგლისელი კი არა, ნამდვილი ბური იყოსო.

ბოლგარია. ამერიკელი მისიონერი ქ-ნი სტონი დღესაც ყაჩაღების ხელშია. თითონ პრეზიდენტი რუზველტი ცდილობს მის განთავისუფლებას, მაგრამ ჯერ ვერას გახდა. პრეზიდენტს უთქვამს: ერთი ათად მეტს დავხარჯავ და ფულს კი არ მივსცემ ყაჩაღებსაო. რუზველტი ძლიერ ემდურის ბოლგარიასაც და ოსმალეთსაც. როგორც ვიცით, ამერიკის კონსულმა მედგარი წერილი გაუგზავნა ბოლგარიის მთავრობას და მოსთხოვა მაკედონიის გამოჩენილი წევრები ყველა დაატუსაღეთო. ამაზე ბოლგარიის შინაგან მინისტრმა სარაფოვმა პასუხი მისცა კონსულს.—მინისტრი სწერს: «ამერიკის მთავრობა ტყუილად ემდურის ბოლგარიის მთავრობას. ქ-ნი სტონი ოსმალეთში მაკედონიის კომიტეტმა მოიტაცა. თუ ყაჩაღები ბოლგარიაში გადმოვლენ, ვეცდებით უსათუოდ დავიჭიროთ; ტყვეების ფულით დახსნას არც კი გაუჩემებ. თუ ქ-ნი სტონი ფულით დავიხსენით, ამით მარტო ყაჩაღებს წავაქეზებთ და კვლავაც ასე მოიქცევიანო. პირიქით, ჩვენ სასტიკ ღონისძიებას მივიღებთ ყაჩაღების წინააღმდეგ და მთელ ევროპას დავუმტკიცებთ, რომ ბოლგარიის მთავრობას მაკედონიის კომიტეტთან არაფერი საქმე და ურთიერთობა არა აქვს».

ოსმალეთი. ამერიკის მთავრობამ ოსმალეთის მთავრობასაც ბეჯითად მოსთხოვა: სასტიკი ღონისძიება მიიღეთ და ტყვე ქალი გაანთავისუფლებინეთო. ოსმალეთის მთავრობა თურმე გიდე ამ აზრისაა:—ქ-ნ სტონმა წინადვე პირობა შეჰკრა მაკედონიელ რევოლუციონერებთან, მომიტაცეთ და ფულით დამახსნევინეთო. ეს ქალი რევოლუციონერებს თანაუგრძნობს და სწადიან, რომ ამ ფულით მაკედონიის საქმეს დახმარება გაუწიოსო.

ეს ცოტა გოგოლის გოროდნიჩის გათქმულ პასუხს გვაგონებს: უნტერ-აფიცრის ცოლმა თავის თავი თითონ გაროზგაო. არც საკვირველია: გოგოლის გოროდნიჩი და ოსმალეთის მთავრობა ალალი დვიძლი ძმები არიან.

საყურადღებოა შემდეგი მოსაზრება: მაკედონიელ რევოლუციონერებს სწადიანთ ფულიც იშოვნონ და ფულზე მეტად უფრო ის უნდათ, რომ ოსმალეთის მთავრობას სახელი გაუტეხონ და ევროპიელებს დაუმტკიცონ: ვიდრე ევროპის დიპლომატია მაკედონიას ოსმალეთის ხელიდან არ გაანთავისუფლებს, ყოველი ევროპიელის სიცოცხლეს ასეთი საფრთხე მოელისო. ვინ იცის, ამათში რომელი მოსაზრებაა მართალი; ამას მომავალი დაამტკიცებს; ჯერ-ჯერობით კი ნამდვილი ისაა, რომ ქ-ნი სტონი დღემდე ყაჩაღების ხელშია და ოსმალეთის მთავრობამაც ვერა უშველა რა. როგორც სჩანს, ერთად-ერთი სახსარი ისაა, რომ ყაჩაღებს ფული მისცენ და ქ-ნი სტონი გაანთავისუფლებინონ.

სამხრეთ-აფრიკა. ბურების რაზმები კაპშტადტს ახლო ზღვის პირას გაჩნდნენ. ინგლისელები ძლიერ გააოცა თურმე ამ ამბავმა. ამის თაობაზე «სენტრალ ნიუს»-ის საგენტოს სწერენ კაპშტადტიდან:

«ორიოდე დღის წინად ამბავი მოვიდა, ბურების პატარა რაზმები სალდანჰას ნავთ-სადგურს მოახლოვდნენო. ახლო ინგლისის გემები მიდიოდა; ანიშნეს, რომ ნაპირს ახლო მოსულიყვნენ. ვისაც კი ბურებისა შეეშინდა, ყველა გემებზე გადავიდა. გემები ისევ ზღვაში წავიდნენ, მაგრამ ბურებმა მაინც მიუსწრეს და გემებს თოფის სროლა დაუწყეს. გემებმა ერთ სამხედრო გემს შეატყობინეს ეს ამბავი. სამხედრო გემი ბურებს მიუახლოვდა და ზარბაზნები ესროლა. ბურებმა უკან დაიხიეს.

გაზ. «მორნინგ ლიდერ»-ი ამბობს: სალდანჰას ნავთ-სადგურში ბევრი პურიაო და ბურებიც სწორედ პურის წასაღებად მოვიდოდნენო». სჩანს, ინგლისელებს ჯარი არა ჰყოფნით ნავთ-სადგურების დასაცველადაო»,—დასძენს გაზეთი.

✿ იქნება თქვენ გეგონოთ, რაკი ბურები დღე მუდამ, ჟამი ყოველი ომობენ, ამიტომ არცა ჰხვნენ, არცა სთესვენო. თუ ასე გგონიათ, ეს ტყუილი აზრია. გაზ. «ტანი»-ს სწერენ:

«ლაშქრობის დროს ინგლისელები ხშირად შეჰხვდებიან ხოლმე ახალ ნახნავებს და ამწვანებულ ჯეჯილებსაო- თურმე ბურები არც ხვნა-თესვას ივიწყებენ. როცა ინგლისელები მოვლენ, ბურების გუთნის დედებიც იმალებიან, და წავლენ თუ არა, უკანა ბრუნდებიან და თავიანთ საქმეს განაგრძობენ».

ამავე საგანზე გაზ. «პოსტ.»-ს სწერენ: ბურების სარდალი კემპი თავის რაზმით ყანების სამკალად წავიდა ელანსრივერის ოლქშიო.

✿ გაზ. «ტანი»-ს სწერენ: ბოტამ თავისი ბოლონდელი გალაშქრება იმ აზრით გამართა, რომ ინგლისელების ჯარი ნატალის საზღვრისაკენ გაეტყუებინა და ამით დევეტისათვის შეძლება მიეცა, ინგლისელების წინააღმდეგ მოქმედება დაეწყო.

✿ «ფრანკ. ცაიტ.»-ს სწერენ: სამხრეთ-აფრიკის მოხელეებმა ლონდონის დემოკრატიული გაზეთი «რეინოლდს ნიუსპეპერ»-ი აკრძალესო. ამ გაზეთს სამხრეთ-აფრიკაში მეტი ხელის-მომწერელი ჰყავდა, ვიდრე ყველა ინგლისურ გაზეთებს ერთად. ბურების საქმეზედაც სულ მართალ უტყუარ ამბებსა სწერდაო.

ბელგია. სოციალისტების საერთაშორისო ბიურომ ბრიუსელში გადასწყვიტა: მანიფესტი გამოვსცეთ და მთელი ქვეყნიერობის პარლამენტებს ვსთხოვოთ, რომ შეერთებულის მალითა და ღონით ქურთები ალაგმონ და სომხების გაწყვეტას ნება აღარ მისცენო.

ესპანია. მადრიდიდან «ნ. ფ. პრესსე»-ს სწერენ: «სევილიაში 20 ანარქისტი დაპატიმრეს, ქალაქის ყოველ უბანს ჯარის ძლიერი რაზმი იცავს. მთავრობას ეშინიან, რომ ყველა მინისტრები და სასამართლოები ყუმბარებით არ ააფეთქონო.»

შეერთებული შტატები. შტატების სატახტო ქალაქ ვაშინგტონში ამ დღეებში ჩიკაგოსა, სენ-ლუისა, ნიუ-იორკისა, ცინცინატისა და სხვა დიდი ქალაქების პოლიციის უფროსები შეიკრიბნენ სათათბიროდ: ანარქისტების თაობაზე უნდა მოელაპარაკნათ. პოლიციელებს თურმე ძრიელ ეშინოდათ: აქ ანარქისტები არ მოვიდნენ და ყველანი ერთად არ აგვაფეთქონო, ამიტომ კრების დარბაზს მრავალი დარაჯი იცავდა. კრებამ დაადგინა, კონგრესს ურჩიოთ, ანარქისტების წინააღმდეგ ახალი კანონები გამოსცენო.

ახალი ამბავი

✦ დღეს, რუსეთის სამეფო სახლის სასწაულებრივ გადარჩენის დღეს სადგურ ბორკაზე (კურსკისა და ხარკოვის რკინის გზა), ტფილისის ყველა სასწავლებლის მოსწავლენი დათხოვნილნი არიან და სასწავლებლების ეკკლესიებში სამადლობელ პარაკლისს გადაიხდიან.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერმა გამოსცა შემდეგი ბრძანება: „შინაგან საქმეთა მინისტრმა ინება შემწეობის დანიშვნა იმ პოლიციელებისათვის, რომელნიც დაშავდნენ ამ წლის 22 აპრილს ტფილისის ქუჩებზე მომხდარ არეულობის დროს: მესამე ნაწილის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს მიეცა 100 მანეთი, პოლიციელ კიტაევს—50 მ. და პლიზველს 20 მ.“

✦ მეღვინე-მევენახეთა კრების თავმჯდომარემ სთხოვა მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს ხსენებულ მინისტრის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა აღნიშნულ კრების ვადის განგრძობაზედ, რადგან 19 ოქტომბრამდე შეუძლებელია მოასწროს კრებამ ყველა შემოტანილ კითხვების განხილვა.

✦ ფინანსთა სამინისტროში აღძრულია ამ ჟამად საკითხი რუსეთის ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშათა სკოლების დაარსების შესახებ. სკოლაში წერა-კითხვისა და საზოგადო საგნების გარდა ასწავლიან ხაზვა-ხატვას და სხვა სპეციალურ საგნებსაც. საბოლოოდ ეს საკითხი გადაწყდება ნოემბრის დასასრულს ან დეკემბერში.

✦ ტფილისის ქალაქის საბჭოს სხდომა უქმეებისა გამო დღეის ნაცვლად დაინიშნა ხვალ, 18 ოქტომბრისათვის.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროში მინისტრის ამხანაგის პ. ნ. დურნოვის თავჯდომარეობით, დაარსდა განსაკუთრებული, კომისია, რომელსაც მიენდო გადასინჯვა ებრაელთა შესახებ კანონმდებლობისა.

✦ „ნოვ. ობოზრ“-ს ატყობინებენ ქუთაისიდან, რომ იქაურ ინტელიგენტ ურიებს განუზრახავთ დააარსონ ურიების საქველმოქმედო საზოგადოება, იმგვარივე, როგორც ტფილისშია. საზოგადოება გახსნის აგრეთვე რიგიანს სკოლას, რაც ძალიან საჭიროა ქუთაისის ებრაელთა მოზარდ თაობისათვის.

✦ ამას წინად ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიის წევრმა ბ-ნმა ლისიციანმა აღძრა საკითხი ტფილისში ცენტრალურ საპედაგოგიო მუზეუმის დაარსებაზე. 15 ოქტომბრის სხდომაზე კომისიამ პრინციპიალურად მოიწონა ეს წინადადება და გამოსთქვა სურვილი, რომ განზრახული მუზეუმი განსაკუთრებულ სადგომში იქმნეს მოთავსებული, ამიტომ კომისიამ დაადგინა, სთხოვონ ბ-ნ ლისიციანს შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა, თუ რამდენი იქნება საჭირო მუზეუმის ასეთის სადგომის მოსაწყობად.

✦ სამხედრო სამინისტრომ წინადადება მისცა კავკასიის სამხედრო ოლქის საინჟინერო უწყებას, გამონახოს შესაფერი ადგილი ტფილისის კადეტთა კორპუსის ახალ შენობისათვის, რადგანაც საბოლოოდ გადაწყვეტილია ძველის სადგომის გამოცვლა. როგორც შევიტყეთ, საინჟინერო უწყებას ამ მიზნისათვის უნდა აერჩიოს ის ადგილი, სადაც ეხლა გამოფენაა გამართული.

✦ ჭიათურიდან გვატყობინებენ, რომ ეს ერთი კვირაა შავი ქვის წარმოება შედარებით გამოცოცხლდა და მუშაობა თანდათან მატულობს. უმთავრესად ეს გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ ფირმებს თავიანთი ქვა ევროპაში გაუყიდნიათ და ახალი დაკვეთა მიუღიათ. ქვა ჭიათურაში ეხლა 7 კაპ. ფასობს თურმე.

✦ ყარაიაზიდან გვატყობინებენ, რომ იქ წელს ცუდი მოსავალია, განსაკუთრებით დაზარალებულან რუსეთიდან ახლად გადმოსახლებულნი.

✦ რადგანაც პირუტყვების მფარველ საზოგადოებას კერძო შემოწირულებათა წყალობით საშუალება მომატებია, ხსენებულ საზოგადოების გამგეობას გადაუწყვეტია ეხლავე შეუდგნენ პირუტყვთა საავადმყოფოს გაფართოვების საქმეს. ეხლა საავადმყოფო იმყოფება მადათოვის კუნძულზე, თ. კ. მუხრან-ბატონის სახლში. საზოგადოებას განზრახვა აქვს საავადმყოფო სილაზე გადაიტანოს და საავადმყოფოში შესასვლელ ფასსაც დაუკლოს, რომ უფრო ბევრს შეეძლოს ამ საავადმყოფოთი სარგებლობა.

✦ კავკასიის ექიმთა ყოფილ კრების ბიურო სთხოვს ამ კრებაზე წაკითხულ მოხსენებათა ავტორებს დაუყოვნებლივ წარმოადგინონ თავიანთი მოხსენებანი, რადგან ბიურო უნდა შეუდგეს მათ ბეჭდვას.

✦ ტფილისის სასწავლებელთა გამგე კომისიამ, 15 ოქტომბრის სხდომაზედ დადგენილებით ქალაქის სკოლების სამეურნეო ნაწილის გამგედ დანიშნა არშ. იაკ. მხითარიანი, რომელსაც წლიურად ჯამაგირი ექნება 720 მან.

✦ 18 ოქტომბრისათვის განზრახული ქალაქის გამგე კომისიის სხდომა სხვა დროსათვის გადაიდვა.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობის გამოანგარიშებით ელექტრონის ტრამვაის პროექტის აქამდე წარმოუდგენლობისათვის ქალაქს ერგება უსახელო საზოგადოებისაგან 4800 მ. (8 თებერვლიდან ოც-ოცი მანეთი დღეში).

✦ რედაქციას მოუვიდა ახალი რუსული წიგნი—«Краткій очеркъ исторіи грузинской церкви и экзархата за XIX-ое столѣтіе», ე. კ—ისა. წიგნი შეიცავს 345 გვერდს, სასულიერო და საერო მოღვაწეთა პორტრეტებს და საუკეთესო ქართველ ეკკლესიების სურათებს. გარეგნათ გამოცემა მშვენიერია. რაც შეეხება შინაარსს, რედაქცია ეცდება გააცნოს იგი თავის მკითხველებს. წიგნი ღირს—2 მ. და 50 კ.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა ბოქაულებს: 1) თვალ-ყური ეჭიროთ, რომ მეეტლები სუფთად იყვნენ ჩაცმულნი და ეტლები სუფთად ჰქონდეთ, 2) იზრუნონ წასულ წვიმების გამო გაფუჭებულ ქუჩების წეს-რიგზე მოყვანაზე.

✦ ძველ დამოენის ქუჩის მცხოვრებლებმა შეატყობინეს ადმინისტრაციას, რომ ერთმა ამ ქუჩის სახლის პატრონმა თავისს საკუთარ მიწის შემოღობვის დროს შემოღობა და მიისაკუთრა ქუჩაც, რომელიც ამ მიწაზე მიდიოდა. ხსენებული მცხოვრებნი სთხოვენ ადმინისტრაციას ამ ქუჩაზე ქალაქის უფლების აღდგენას.

✦ 14 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, პოლიციის მე-6 ნაწილში, ძველ ნავთლუხის გზაზე ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა საფანტით გატენილ თოფით დასჭრა იქვე გამვლელი დაღესტნის მცხოვრები ისრაფილ ისა ბეკ-ოღლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ ამავე დღეს ნაშუადღევის 3 საათზე სასტუმრო „გრანდოტელის“ მოსახვევში ცხენის რკინის გზის მე-20-№ ვაგონი დაეტაკა ქვრივს 75 წ. მოხუცებულ პელაგია გენიუშისას და ზედ გადაიარა, დაშავებული სამკურნალოში გაგზავნეს, მაგრამ საბრალო ნახევარი საათის შემდეგ გარდაცვლილა.

კავკასიის გამოფენა

კავკასიის გამოფენაზე დღეს, ნაშუადღევის 1 საათიდან კავკასიის მეღვინე მევენახეთა კრების წევრნი დაწვრილებით დაათვალიერებენ ყველა იქ გამოფენილ ყურძნის დაწურვისა და ღვინის კეთების დროს სახმარებელ სხვა-და-სხვა მანქანებსა და ხელსაწყობებს- თუ რა დროს რომელი მანქანა იხმარება და ან როგორ, ამის ახსნა-განმარტება უკისრია საუფლისწულო მამულის ტფილისის სარდაფის გამგეს ბ-ნ გოგოლიანოვსკის.

* *

როგორც გამორკვეულა, თუ, სამინისტროს გარდაწყვეტილებისამებს, გამოფენა 20 ოქტომბერს დაიხურა, მაშინ კომიტეტს გამოფენის გამართვით ზარალი 20,000 მანეთი მოელის.

* *

საფრანგეთის ქვეშევრდომი ტიებო, რომელსაც ვენახი აქვს ქუთაისის გუბერნიაში, სწერს გამოფენის კომისარიატს, რომ ერთმა გლეხმა ივანე ბილონმა(?) მეტად მოკლე დროში შესანიშნავად შეისწავლა მის ვენახში ამერიკულ ვაზის მოვლა მოშენება და დამყნა და იგი მას ოქროს მედლის ღირსად მიაჩნია; ამიტომ ტიებო სთხოვს კომისარიატს შეატყობინონ მას, როდის შეიძლება ამ გლეხის გამოგზავნა გამოფენაზე ჯილდოს მისაღებად. კომისარიატმა შეუთვალა ბ. ტიებოს, რომ წესდებით ცოცხალ ადამიანის ექსპონატად გამოგზავნა ყოვლად შეუძლებელი არისო.

* *

ხანაგოვის, იარალოვის და ხელინსკის მანქანების გამოცდა გადაიდვა 19 ოქტომბრისათვის, რადგან საექსპერტო კომისიის წევრები არ მოსულან გამოცდაზე.

* *

განსაკუთრებულმა ტეხნიურმა კომისიამ დაათვალიერა „რუსული მთები“ და კარგად გამართულად იცნო იგი, მხოლოდ დაავალა ბ. კლდიაშვილსა და ბაქრაძეს ყოველ დღე იარონ და თვით ადევნონ თვალ-ყური „მთების“ მუშაობას.

* *

ნავთის მწარმოებლების, ნობელის პანორამისა და ქ. ბაქოს პავილიონის ამშენებელს განზრახვა აქვს მოშალოს ეს პავილიონები 20 ოქტომბერს, როგორც ეს ხელშეკრულებაშია აღნიშნული. თუ გამოფენა ნოემბერშიაც იქმნა და სურთ ამ პავილიონების შენახვა, ინჟენერი თხოულობს 2000 მანეთს ამ შენახვის ხარჯებისათვის.

* *

გამოფენაზე გასართობების მომწყობ კომისიამ გადასწყვიტა მოსპოს გასართობები და გაუშვას ყველა დაქირავებული არტისტები. ამათ ჯამაგირი დაურიგეს გუშინდლამდე. ზოგი არ არის ამის თანახმა და თხოულობს ჯამაგირს 20 ოქტომბრამდე. აქამდე კომისიის მოსვლია. ზარალი 8000 მ.

* *

გამოფენის უმთავრესს კომიტეტის თავჯდომარემ სულთან კრიმ გირეიმ სთხოვა კავკასიის მთავარ-მართებელს თ. გოლიცინს დეპეშით გამოითხოვოს ნებართვა გამოფენის ნოემბრის დამლევამდე განაგრძობისა.

* *

გამოფენის უმთავრესი კომიტეტი თანახმა გახდა, რომ გამოფენის რესტორანის პატრონს სხირტლაძეს არ გამოერთვას 15 $^0/_0$-ი ხარჯ-გამოურიცხველ შემოსავლისა.

* *

მიწად-მოქმედების საექსპერტო კომისიამ დაასრულა თავისი მუშაობა.

* *

გუშინ გამოსცადეს ბამბის საწმენდი მანქანები და გამოცდამ მშვენივრად ჩაიარა.

პრესსა

ამას წინად ჩვენ ახალ ამბად გვქონდა მოყვანილი, რომ საერო განათლების სამინისტროში განსაკუთრებული კომისია დაარსდა, რომელსაც დაევალა გამოსძებნოს საშუალებანი ქალაქებში პირველ დაწყებითი სწავლის გასაძლიერებლად. მკითხველებმა იციან ის მეტად სამწუხარო ფაქტი, რომ რუსეთის ქალაქებში დიდძალი ბავში, უმთავრესად ღარიბ მცხოვრებთა, სკოლის გარედ რჩება სასწავლებელთა სიმცირის გამო. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება სამინისტრომ და განიზრახა მთავრობის დახმარებით გააძლიერებიოს საქალაქო მმართველობათ ქალაქების სკოლათა რიცხვი. ამის გამო, გაზეთი „ოდესსკ. ნოვ“. ურჩევენ სამინისტროს—სიფრთხილით მოეკიდოს მთავრობის შემწეობის საქმეს. გაზეთი არ ჰყოფს უარს ფაქტს, რომ პირველ-დაწყებითი სწავლა ცუდათ არის დაყენებული ქალაქებში, მაგრამ ამის მიზეზად მარტო უფულობას არ სთვლის. საყურადღებოა გაზეთის მოსაზრება, რომ საშუალებათა სიმცირეს იმდენი მნიშვნელობა არა აქვსო, რამდენიც თვით საბჭოების სურვილსა და მიმართულებას.

„საყურადღებო უფრო ის არისო, ამბობს გაზეთი, რომ უმეტეს შემთხვევაში ქალაქის საქმეები ისეთ ელემენტს ჩაუვარდა ხელში, რომელიც თვითონ არ საჭიროებს სახალხო სკოლას და ამასთანავე იმდენად განვითარებული არ არის, რომ ხალხის განათლებისათვის ზრუნვას ზნეობრივ ვალდებულებად სთვლიდეს. საკმარისია ვთქვათ, რომ მაშინ, როდესაც ერობა თავის მცირე საშუალებიდან სახალხო განათლების საქმეს ბიუჯეტის მეექვსედს ახმარებს, ქალაქები, უმეტეს შემთხვევაში, ამ საქმისთვის თავის ბიუჯეტის ერთ მეოცედს ძლივს ხარჯავენ; იშვიათია ისეთი ქალაქი, რომელიც თავის საშუალებიდან 10-12$^0/_0$-ს ხარჯავდეს სახალხო ბანათლებაზე.

რადგანაც ქალაქის მართვა-გამგეობის საქმე აწ განსვენებულმა საქალაქო დებულებამ მდიდართ ჩაუგდო ხელში, ამიტომ საბჭოები უფრო სცდილობენ ქალაქის მდიდარ ნაწილებისათვის; თუ საშუალება აქვთ, უფრო მდიდარ უბნების მოწყობას ანდომებენ მას, განაპირა ადგილები და მათი მცხოვრებნი—ღარიბი ხალხი—ქალაქის ახლანდელ პატრონთათვის თითქმის არც არსებობენ. ამიტომ გაზეთი იმ აზრისაა, რომ უმჯობესია შეიცვალოს წესი ქალაქის მართვისა, რომ ხალხის წარმომადგენელთ მიეცეს ნება აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ქალაქის მართვა-გამგეობის საქმეში; მაშინ ფულებიც მოიძებნება სკოლების გასამართავათაო. ხოლო მთავრობის დახმარება უკეთესი იქნება სოფლისკენ მიიმართოსო, სადაც ხალხის განათლების საქმე ბევრად უფრო ცუდს მდგომარეობაშია, ვიდრე ქალაქშიო და სადაც ერობასა და ადმინისტრაციას ძალა არ შესწევთ მეტად დიდ მოთხოვნილებას გაუძლვენ.

ეჭვს გარეშეა, გაზეთის მოსაზრება საყურადღებო და სამართლიანია: ქალაქის საქმეები უფრო რიგიანად წავა, თუ საარჩევნო უფლება ღარიბ მცხოვრებლებზე და და მდგმურებზე იქნება გავრცელებული; მაგრამ სამართლიანობა მოითხოვა ისიც ვთქვათ, რომ ქალაქების ბიუჯეტი მართლა უნუგეშო მდგომარეობაშია. მათ ამძიმებს ეგრედ წოდებული სავალდებულო ხარჯები. ქალაქებს ევალებათ: ჯარების სადგომების დაქირავება, პოლიციის შესანახ ხარჯში მონაწილეობის მიღება, საპატიმროების შენახვაში მონაწილეობა, ცეცხლის მქრობ რაზმის შენახვა და სხვ. ეს სავალდებულო ხარჯები ხელ-ფეხს უბორკავენ ბევრ ქალაქებს და, ვისაც უნდა ჩაებაროს საქმეების მართვა, ბევრს ვერ გააწყობს, თუ ქალაქის ბიუჯეტს ცოტა შეღავათი არ მიეცა.

მეღვინე-მევენახეთა კრება

ორშაბათს, 15 ოქტომბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, აგრონომის ვ. ა. სტაროსელსკის თავმჯდომარეობით, შემდგარ მეღვინე-მევენახეთა კრებას ბევრი ხალხი დაესწრო.

კრების დაწყებისათანავე თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ჩვენი სხდომები 5 დღის მეტი არ გაგრძელდება, ხოლო რადგან ძალიან ბევრი საკითხები და მოხსენებანი გვექნება განსახილველად, ჩემის აზრით, უკეთესი იქნება გავიყოთ რამოდენიმე სექციად; თითოეულს სექციას რამდენიმე საკითხის განხილვა დავავალოთ და ამ ნაირად მალე მოვასწრებთ მთელი პროგრამის შესრულებასო. ზოგიერთნი წინააღმდეგნი გაუხდნენ ამ წინადადებას იმ მოსაზრებით, რომ სექციების მიერ განხილული საკითხები ხელმეორედ უნდა გაარჩიონ საზოგადო კრებაზე და ამ ნაირად ორ ნაირი შრომა მოგვივაო; ისა სჯობია, თუ დანიშნული დრო არ გვეყოფა აღნიშნულ საქმეების განსახილველად, ვსთხოვოთ დეპეშით მიწად მოქმედების მინისტრს დაგვინიშნოს 5 დღეზე მეტი დრო, რომ ყველა საკითხების გარჩევა მოვასწროთო. კრებამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა საზოგადო კრებაზე იქმნენ განხილულნი პროგრამით დანიშნული საქმეები და ამასთანავე სთხოვონ ყველა კრებათა უფროს თავმჯდომარეს, ბ-ნ მედვედიევს, გამოითხოვოს დეპეშით ნება მიწად მოქმედების მინისტრისაგან—მეტი დრო მიეცეს მეღვინე-მევენახეებს სამუშაოდ.

ამ დღის სხდომაზე კრებამ მხოლოდ ერთი მოხსენების მოსმენა-განხილვა მოასწრო. მოხსენება წარუდგინა კრებას თავმჯდომარემ ბ-ნმა სტაროსელსკიმ, რომელმაც მოიყვანა ისტორიული ცნობები, თუ რომელი დროდან განიზრახეს ქუთაისის გუბერნიაში ამერიკული ვაზის მოშენება და დღემდე როგორ განვითარდა ეს საქმე. როდესაც ქუთაისის გუბერნიაში საგრძნობლათ გაახრა ვენახები ფილოქსერამ, 1889 წელს, აღიძრა საკითხი, გაეკეთებინათ იქ საცდელი მინდორი ამერიკული ვაზისა და ნელ-ნელა ხალხში მისი ნერგი გაევრცელებინათ. სამინისტროში პირველს ხანს გულცივად დახვდნენ ამ საკითხს, მაგრამ, როდესაც 1894 წელს ქუთაისში მოვიდა მიწად მოქმედების მინისტრი, მან ადგილობრივ გაიცნო საქმის ვითარება და შემდეგ მალე ნება დართულ იქმნა ზესტაფონს ახლო საქარაში გაეკეთებინათ ამერიკული ვაზის საცდელი სადგური. სამინისტროს პირველად საქმის მოსაწყობად გადაუდვია 3000 მან.; სადგური გაუმართავთ, გამოუწერიათ 1800 ღერი ამერიკული ვაზი და შესდგომიან საქმეს. იმ დღიდან იმდენად განვითარებულმა ამ ვაზის მოვლა-მოშენების საქმე, რომ დღეს საქარაში 12 დესიატინა მიწა უკავია მერიკულ ვაზს.

გორის მაზრის სოფ. აგიანში ბევრად ამაზე მეტია და აგრეთვე კახეთში—სოფ. კონდოლში. მომხსენებლის სიტყვით, საქარის სანერგესაგან უკვე დიდი სარგებლობა სჩანს დღეს; იქ რიგიანად საქმის დაყენებამ ხალხი იმოდენად შეაჩვია ამ ვაზის გაშენებას, რომ მოთხოვნილება თითქმის მილიონამდეა. წინად ვიდრე ხალხმა ამ ვაზის დამყნა და მოვლა არ იცოდა, უკვე დამზადებულს ნერგებს აწვდიდნენ, ხოლო შემდეგ გაიმართა სკოლა ერთის წლის კურსით, სადაც დაწვრილებით ასწავლიან ამ ვაზის მოვლას, დამყნას და სხვ. და ეხლა ხალხს დაუმყნელი ვაზი მიაქვს და საჭიროების და მიხედვით მცოდნეს გააყოლებენ სადგურიდან, რომ პრაქტიკულად უჩვენოს ხალხს, თუ როგორ შეამუშაონ მიწა და როგორ მოუარონ საზოგადოდ ამ ვაზს, რომ ნაყოფი კარგი გამოიღოს. შემოდგომობით აგრეთვე სოფლებიდან 700—800 კაცამდე დადის სადგურში და ეცნობა ვაზის მოვლა-მოშენებას, სადგურშივე ჰყავთ ვაზის დამყნელნი სპეციალისტები, რომელნიც ეხმარებიან მცირე სასყიდლის აღებით ხალხს ვაზის დამყნაში; ას ვაზის დამყნაზე 30 კაპ. გამოართმევენ. საშუალო რიცხვით დამყნელთ დღეში 700—800 ვაზი შეუძლიანთ დამყნონ. ზოგიერთი იმდენად დახელოვნებულია, მაგ. ლაბაძე, რომ დღეში 1300 ვაზსა მყნის. საქარის საცდელ ვაზის სანერგეს მიხედვით ბევრმა ქუთაისის გუბერნიაში საუცხოვოდ მოაწყეს თავიანთი მამულები, ასე რომ ერთს დესიატანა მიწაზედ 700—900 ვედრა ღვინო მოდისო.

აღმოსავლეთ კავკასიაში მამულები ფილოქსერის მხრით ჯერ საშიშ მდგომარეობაში არ არიან, მაგრამ სასურველი კია, ამ ვაზის გაშენება იქაც დაიწყოს, მაგრამ რადგანაც საშიშია, რომ ამერიკული ვაზს ფილოქსერა არ მოჰყვეს, ამიტომ ამ ადგილებისათვის ჯერ-ჯერობით სრულიად აღკრძალულია სამინისტროსაგან საზღვარგარეთიდან ამრიკულ ვაზის გამოწერა.

ბ. ხმელინსკიმ კითხვა აღძრა იმის შესახებ, რომ შუამდგომლობა აღიძრას, რათა ნება მიეცეს განჯისა და ბაქოს გუბერნიების იმ ადგილების პატრონებს, სადაც ვენახების გაშენებას მხოლოდ ახლა იწყებენ და მაშასადამე შიში ფილოქსერის შემოტანისა არ უნდა იყოს, გამოიწერონ ამერიკული ვაზი და შეუდგნენ მის გაშენებას. წინადადება არ მიიღეს იმ მოსაზრებით, რომ იქიდან შეიძლება მამულებიან ადგილებში იქნეს გადატანილი ავადმყოფობაო.

კრებაზე კარგა ხანი კამათი გამოიწვია აღძრულმა საკითხმა იმის შესახებ, რომ ეხლავე ნება დაერთოს ნელ-ნელა შეუდგნენ კახეთისა და სხვა უფილოქსერო ადგილების მემამულენი ამერიკული ვაზის მოვლა-მოშენებას, რადგანაც შესაძლებელია ფილოქსერა იქაც გაჩნდეს და იმ დროსათვის ამ ვაზის მოვლა-მოშენებას უკვე ნიადაგი ექნება შემზადებული და ფილოქსერა საგრძნობელს ზარალს ვერ მოიტანსო.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ჯერ არ არის და ვინ იცის როდის გაჩნდება ფილოქსერა აღმოსავლეთ კავკასიაში და თუ ვინიცობაა გაჩნდა, მილიონობით შეიძლება საზღვარ-გარეთიდან გამოწერა და აგრეთვე უკვე დარსებული სანერგეები ნელ-ნელა აჩვევენ მსურველთ ამერიკულ ვაზის მოვლასაო.

კარგა ხნის კამათის შემდეგ კრებამ გამოსთქვა, სასურველია რაც შეიძლება უფრო მეტად გავრცელდეს კავკასიაში ამერიკული ვაზის გაშენებისა და მოვლის საქმე.

ქართულ თეატრის შესახებ

ჩვენ წავიკითხეთ 13 ოქტომბერს „ივერიის“ და „ცნობის ფურცლის“ სამართლიანი და პირუთვნელი კრიტიკა 11-ს ოქტომბრის ქართულ წარმოდგენის შესახებ; იმ წარმოდგენის შესახებ, როდესაც დადგმული იყო 4 მოქმედ. დრამა «ბედს ვერ წაუხვალ» ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით. ამ გვარი პიესის დადგმას და ამ გვარად აღსრულებას, სწორედ მოგახსენოთ, სჯობდა რომელიმე ნახევარზე დამბლად დაცემულ ავადმყოფის საავადმყოფოდან გამოყვანა და ჩვენება საზოგადოებისათვის სცენაზე, როგორ წვალობს და კვდება ამ გვარი ადამიანი.

მაშ რად დაიდგა ამ გვარი პიესა? ან როგორ მოხდა, რომ „სამი-ოთხი წარმოდგენა, რომელიც აქამდე გაიმართა, ჩინებულად ჩაატარეს არტისტებმა და 11-ს ოქტომბრის წარმოდგენამ კი ასე უხეიროთ ჩაიარა“—იკითხებიან „ცნობის ფურცლის“ და „ივერიის“ რეცენზენტები.

მიზეზნი ბევრნი გახლავან, მაგრამ უმთავრესნი მათგან არიან: დრამებისათვის პერსონალის უქონლობა, საზოგადოების გულგრილობა თეატრისადმი და დრამატიულ

საქმეებში, ანტრეპრიზის უხერხულობა და დრამატიულ ხელოვნების განუვითარებლობა. წინათ სამი-ოთხი დადგმული პიესები გახლდნენ კომედიები, რომლის აღსრულებისათვის გვყავს ისეთი გამოჩენილი არტისტები, როგორც ბ-ნი აბაშიძე, ქ-ნნი გაბუნია, საფაროვისა, ჩერქეზიშვილისა, ბ-ნი გედევანოვი, ძმანი გამყრელიძენი და სხვ., რომლებმაც თავის ტალანტით ისე მიაჩვიეს ჩვენი საზოგადოება კომედიებზედ, რომ დრამის დროს იგი იცინის და გულგრილად ისმენს; შეიძლება თვით ცხოვრებამაც ხელი შეუწყო ამგვარ მიმართულებას, რადგან ერთი საუკუნეა მივანებეთ თავი დრამას და მივეცით კომედიებს. სულ სხვა გახლავთ დრამის მდგომარეობა; ამ ასპარეზზე განვითარდა ერთად ერთი ძლიერი ტალანტი ბ-ნ ალ. მესხიშვილისა, რომელსაც ეხლა, საუბედუროდ, ეძნელება დიდხანს ლაპარაკი და ამისათვის უნდა ირჩიოს მის შესაფერი პიესები. მესხიშვილს მიჰყვება ყიფიანი, რომელსაც უძნელდება მონაწილეობის მიღება ტრუპპაში, და ქ-ნი ეფემია მესხი, რომელიც უფრო სცენის მოყვარეთ უნდა ჩაითვალოს, რადგან იშვიათად იღებს მონაწილეობას.

ძნელია დრამის აღსრულება, რადგან არ გახლავთ დრამატიული ღონე, მაგრამ თეატრმა უნდა შეჰქმნას იგი და საზოგადოებამ ხელი შეუწყოს, თუ სურს თეატრის არსებობა. მხოლოდ ამგვარი წადილი საზოგადოების მხრივ ჯერ არ მოჩანს, რადგან 11-ს ოქტომბერს თვით საყვარელ აქტიორის სახელმაც“ არა უშველა რა—„გოგრები“ მაინც არ მოვიდნენ, საერთოდ შემოსავალი გახლდათ 313 მანეთი, ესე იგი მთელი შემოსავალის ნახევარიც არ იყო.

დღეს ჩვენი თეატრი არა მარტო თეატრი გახლავთ, არამედ სკოლაც არის, სადაც უნდა ივარჯიშონ ჩვენმა აქტიორებმა და შეისწავლონ დრამატიული ხელოვნება; თუმცა ამგვარი მდგომარეობა თეატრისა ყალბია, მაგრამ რას იზამთ, სად შეასწავლით ახალგაზდა აქტიორებს.

თვით ანტრეპრიზაც უხერხულად გახლავთ დაყენებული. რომ შეძლება ყოფილიყო, დიდი ხანია დრამატიულ საზოგადოებას უნდა დაენებებინა თავი ანტრეპრიზისათვის და მიეყო ხელი დრამატიულ ხელოვნების განვითარებისა, სკოლის დაარსების, გაზეთის გამოცემისა, კლასიკურ პიესების თარგმნის და სხვ... აქ გახლავთ თავი და თავი მიზეზი ყოველ ჩვენი თეატრის ნაკლულევანებისა. ანტრეპრიზა ძრიელ რთული საქმე გახლავთ. ანტრეპრინიორს ჰყავს მთელი რაზმი არტისტებისა, რომელსაც მოთავეში უდგია რეჟისორი, ისევ აქტიორი, რადგან ჩვენში სხვა არ მოიძებნება. ამ რაზმს გაძღოლა უნდა იმ წესებით, რა წესითაც უძღვებიან სხვა ანტრეპრინიორები, მაგრამ ბევრჯელ შეუძლებელია ამ გვარ წესების შემოღება, რადგან ჩვენი არტისტები თითქმის თავს სწირავენ ჩვენ თეატრისათვის, ხუთ თვეს მცირე ჯამაგირს იღებენ და შვიდ თვეს შიმშილით კვდებიან. ყოველ ჩვენთაგანს-კი ჰსურს წელიწადში ერთხელ 70 კ. მისცეს და ყური დაუგდოს მშვენივრად ნათამაშევ პიესას. წარმოიდგინეთ ჩვენს თეატრში არც ერთი აბონემენტი არ არსებობს. ამ მდგომარეობაში ყოველი არტისტი გაურბის ანტრეპრიზას, რადგან იცის, რომ წაგების მეტს ვერას ნახავს, რასაკვირველია, იგივ მოელის დრამატიულ საზოგადოებასაც, თუ ჩვენი საზოგადოება ჩვეულებრივ მოეკიდა ქართულ თეატრს.

მაინც უნდა აღვნიშნოთ შეცდომანი, მაინც უნდა გამოვარკვიოთ საჯაროთ მიზეზები ჩვენი სიგლახისა, მაინც უნდა დავაარსოთ დრამატიული სკოლა, თუ ცალკე არა, ტრუპასთან ერთად, მაინც უნდა გამოვცეთ ჟურნალი, მაინც უნდა ვთარგმნოთ კლასიკები, მაინც უნდა ვიშრომოთ და ხელი შევუწყოთ ჩვენს თეატრს, თუ გვსურს რომ იგი ჭეშმარიტ, ნამდვილ და მკვიდრ ნიადაგზე დადგეს.

გიორგი ლეკანოზიშვილი

პროვინცია

სოფ. საჯავახო (ოზურგეთის მაზრა). ექვსი წელიწადია მას აქეთ, რაც «ნინოშვილისეულის» საზოგადოების გლეხებმა დაადგინეს განჩინება შესახებ ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლის დაარსებისა და ჯერ კიდევ ამ სკოლას საკუთარი შენობა არა აქვს. საზოგადოება იხდის ორის მასწავლებლის ჯამაგირს (ოცდა-ათ თუმანს წელიწადში), ამათი ოთახების ქირას, და ცალკე სკოლისათვის აქვთ ნაქირავები სახლი. ასე რომ, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, ამ საზოგადოებას აწევს წელიწადში ხარჯი თავის წინდაუხედაობით ორი ათას მანეთამდე. ბავშვები მაინც სწავლობდნენ! ამდენი ხანია და ერთ ბავშვს სწავლა არ დაუსრულებია ამ სოფლის სასწავლებელში.

სწავლას საიდან დაასრულებენ, როდესაც იმათი სკოლა დღეს ერთ სოფელში არის, ხვალ მეორეში და ზეგ მესამეში, რადგან კერძო და იმათი პატრონები ვერ აკმაყოფილებენ სკოლის მოთხოვნილებას და ძალა უნებურად იცვლიან სკოლის შენობას. მასწავლებელმა რა ჰქმნას, როდესაც სოფლელები ერთმანერთს ეჯიბრებიან—არა ჩვენ სოფელში დადგეს მასწავლებლები და არა ჩვენსაშიო; ვისაც კარგი სახლი აქვს, უნდა რამე ნაირად მოახერხოს, წაიყვანოს შინ და მან აიღოს ფული საზოგადოებისაგან.

არც იმდენად საზოგადოების ბრალია ეს საქმე, რამდენადაც სხვისი. დღეს რა ჰქმნას საწყალმა საზოგადოებამ, როდესაც აღარ აქვს რამე მოხერხება: ამას წინეთ ამ საზოგადოებას დაადვეს მოხერხებით რამოდენიმე ათასი მანეთი სანტენდანტო სამმართველოსი; მამასახლისი ცხენიდან გადმოვარდა და ენა ამოუდგებლად მოკვდა. ზოგიერთებმა ისარგებლეს ამით და რამდენიმე ათასი მანეთი სოფელში მოკრებილი ფული შთანთქეს. ვითომ და იმ მამასახლისს შეეჭამოს, და ესეც საზოგადოებას გადახდა.

—კ—მე.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

16 ოქტომბერი

ადესა. ოფიციალურად გაიხსნა ადესის ნოქრების საურთიერთო დახმარების სავაჭრო სკოლა.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტოს“ატყობინებენ მიდდელბურგიდან, რომ ზოგიერთი ტყვეები, რომელთაც დატყვევების დროს „ხაკი“ ეცვათ, სიკვდილით დასაჯეს.

იმ რუსებს, რომელნიც სამხრეთ-აფრიკიდან გააძევეს, მიესაჯა ზარალის საზღაურად 4100 გირვ. სტერლ.

ლონდონი. ნაშუადღევს. მინისტრთა საბჭოს სხდომა მოხდა; სხდომას ყველა მინისტრები დაესწრნენ.

ბერლინი. გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ ეხლა-ხან დაბეჭდილ სამ წერილს, რომელნიც ჩინეთში მყოფ საფრანგეთის ჯარის უფროსს გენერალ ვუარონს გაუგზავნია გრაფ ვალდერზეესათვის. ამ წერილებში ნათქვამია, რომ ჩინეთში არსებულს კათოლიკეთა მისსიებს მფარველობა მხოლოდ საფრანგეთმა უნდა გაუწიოსო. ვალდერზეეს პროტესტზე იმის გამო, რომ ჩინეთის ზოგიერთი სოფლები მხოლოდ საფრანგეთის დროშებით იყო მორთული, ვუარონმა უპასუხა, რომ საფრანგეთის ჯარების ლმობიერ მოქმედებამ მოუპოვა ფრანგებს მკვიდრთა პატივისცემა და ამიტომ მათ თვითონ არჩიეს საფრანგეთის დროშები. მესამე წერილში ვუარონი უარ-ჰყოფს ვალდერზეეს წინადადებას პეკინში საერთაშორისო მართვა-გამგეობის დაწესებაზე, მაგრამ პირობას აძლევს, რომ საფრანგეთის უბნებში იმ გვარსავე წესებს შემოიღებს, როგორიც მთელ პეკინში იქნებაო. გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატ“-ი ამბობს, რომ ამ წერილებიდან სჩანსო—გენერალ ვუარონს პარიზიდან ინსტრუქცია ჰქონია—დაემცირებინა გრაფ ვალდერზეეს მთავარსარდლობის მნიშვნელობაო.

სოფია. 15 ოქტომბერს მთავარმა ფერდინანდმა, კობურგის პრინცესას კლემენტინას დასწრებით, გახსნა საერო კრების მორიგი სესია. სეფე-სიტყვაში ფერდინანდმა აღნიშნა მთავრობის ცდა, რომ სახელმწიფო საქმისათვის კანონიერი მსვლელობა მიეცა და ის გარემოებაც, რომ ცდას ტყუილად არ ჩაუვლია. რადგანაც ბულგარიის საფინანსო და საეკონომიო მდგომარეობა ისევ მძიმეა, ფერდინანდმა იმედი გამოსთქვა, რომ ყველა დეპუტატები პარტიის გაურჩევლად დაეხმარებიან მთავრობას და შეძლებას მისცემენ მას განახორციელოს ზოგიერთი რეფორმა, რომელნიც საჭირონი არიან საფინანსო კრიზისის ასაცილებლად. შემდეგ სეფე-სიტყვა ამბობს, რომ მთავრობა, ერის სურვილის თანახმად, ყველა სახელმწიფოებთან კარგ განწყობილებაშია და ყოველს ღონისძიებას ხმარობს არ დაარღვიოს ამგვარი ურთიერთობა, რათა ამით კიდევ უფრო განამტკიცოს თვისი კეთილი განწყობილება რუსეთთან. „იმის უტყუარი საბუთი, რომ ბოლგარისა და რუსეთს შორის კეთილი განწყობილება არსებობსო, სთქვა ფერდინანდმა, ის არისო, რომ წელს ჩვენ გვეწვია დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე, რომელსაც დიდის აღტაცებით მიეგება მთელი ბოლგარია.“ ბოლოს სეფე-სიტყვაში ჩამოთვლილია ყველა პროექტები, რომელიც საერო კრებას წარედგინება.

პეტერბურგი. ჰელსინგფორსის კომენდანტი გენერალ ლეიტენანტი ჩეპურნოვი დაინიშნა ფინლიანდიის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსის განკარგულებაში; ტავასტჰუსის გუბერნატორს გენ.-მაიორს ბარონ ფონ-კოტენს ებოძა გენერალ-ლეიტენანტობა და სამსახურიდან დათხოვნილ იქნა.

პეტერბურგის ბირჟა 12 ოქტომბერს

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,75	
ბერლინზე 100 მარკაში	45,95	
პარიზზე 100 ფრანკში	$37{,}32^{1}/_{2}$	
ლონდონზე ჩეკები	94,45	
ბერლინზე „	46,30	
პრიზზე „	$37{,}52^{1}/_{2}$	
ბირჟის დისკონტი	$5^{1}/_{2}$—7%	
4% სახელმწიფო რენტა	$96^{1}/_{8}$	გაყიდ.
$4^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ, მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	443	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$331^{1}/_{2}$	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	241	„
$3^{1}/_{2}$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	$87^{1}/_{8}$	„
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	$89^{3}/_{8}$	„
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—	
$4^{1}/_{2}$% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

რედაქტორი **ალ. ჭყონია.**
გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ქლიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ბსჩითახოვისა, ავადმყოფე უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში დირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ქალაქ ქუთაისში, ლევაშოვის ქუჩაზე იაფად იყიდება ოთხ თვალიანი სახლი, მიწა ზომით 140 ოთხ-კუთხი საჟენი—ხეხილებით და ჯანმრთელობისათვის საუკეთესო ადგილზე, ფასი ორი ათას ოთხასი მანეთი (2400 მ.).

მყიდველთ მიმართონ ქ. სუხუმში სააფთიაქო მაღაზიის პატრონს იოსებ იესე კიწმარიაშვილს. (179—1)

Съ разрѣшенія Главноначальствующаго на Кавказѣ генералъ-адъютанта Кн. Г. С. Голицына,

ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ

„АРГОНАВТЪ“

Съ 15-го Ноября текущаго года будетъ выходить ежедневно съ иллюстраціями.

ПРОГРАММА мзданія обнимаетъ всѣ отдѣлы ежедневныхъ газетъ.

Подписная цѣна: на годъ съ пересылкой и доставкой 7 руб., въ Тифлисѣ: 5 руб., полгода 3 руб и на мѣсяцъ 50 коп.

Подписавшійся до января 1902 г., получаютъ газету со дня подписки.

Редакція и контора изданія: Тифлисъ, Головинскій просп. № 14.

დაიბეჭდა და იყიდება **წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში:** შ. არაგვისპირელის **პ ი რ ვ ე ლ ი წ ი გ ნ ი**, ფასი ათი შაური. ისტორიული რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან ივ. ვაზოვისა **„დამცირებულნი“**, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, გამოცემა სპ. ნარაკიძისა, ფასი ერთი მანეთი. პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნები შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество გადასაგზავნი ხარჯი არ გარდახდებათ მათ, ვინც ზემოხსენებულ ადრესით დაიბარებს და წიგნების ღირებულ ფასს (მანეთ ნახევარს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

Дозволено ценсурою. Тифлисъ, 16 Октября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.